დევნილმა ოჯახმა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დავა მოიგო

საია-ს ზუგდიდის ოფისი იცავდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის ინტერესებს, რომელის ოჯახსაც სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უარი უთხრა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ დევნილი ოჯახი ცხოვრობდა სიცოცხლისათვის /ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტში, რაც დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით. მიუხედავად ამისა, მათი მოთხოვნა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სააგენტომ არ დააკმაყოფილა.

საია-ს დახმარებით, დევნილმა ოჯახმა გაასაჩივრა ის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უთხრეს საცხოვრებლის გადაცემაზე. სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა დევნილი ოჯახის სასარგებლოდ დასრულდა. სასამართლომ ბათილად ცნო სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გადაწყვეტილება

დევნილი ოჯახისთვის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახი საცხოვრებლით იქნება უზრუნველყოფილი.